კვირა, 11 სექტემბერი 1916 წ.

რედაქციის ადრესი:
თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

# ეშმაკის მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 37

## ქართული კარიკატურის 15 წლის თავი



ო.ი.შლინგ.



# იუმორი

,,რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა''.

იუმორი აზროვნების ერთი ფორმათაგანია. მისი ნიშნობლივი თვისებაა სიცილი. მარა ყველა სიცილი იუმორს არ ნიშნავს. არის სიცილი და სიცილიც. ერთს იწვევს მასხრობა, მეორეს იუმორი. როცა სიცილი „ცრემლზე უფრო მწარეა“, მაშინ ის ხდება უდიდეს იუმორათ და იმავე დროს უძლიერეს იარაღათ. ამ შემთხვევაში იუმორისტიც ისეთივე მებრძოლია, როგორიცაა საუკეთესო საზოგადო მოღვაწე. იუმორი ხელოვნებაა, მეტათ ძნელი და იშვიათი. ცნობილ იუმორისტთა რიცხვი ორივე ხელის თითებზე თავისუფლათ ჩამოითვლება. სერვანტესი, მარკ ტვენი, სვიფტი, დიკენსი გოგოლი, სალტიკოვი—აი ცნობილი იუმორისტები. თუ ამათ მივუმატებთ ბერანჟეს, გრიბოედევს, მოლიერს და ორიოდ სხვა იუმორისტს, დავინახავთ, რომ მათი რიცხვი მეტათ მცირეა.

მაშასადამე ნიჭი იუმორისა იშვიათია. ნამდვილი იუმორისტი სანთლით საძებარია. ეს აიხსნება არა იმით, რომ ცხოვრებაში იუმორული ამბები არ ხდებოდეს, სიცილის მომგვრელი მოვლენა არ ჩნდებოდეს, არამედ იმით რომ მათი დანახვა და გამოსახვა ერთობ ძნელია. ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება იყოს დრამაც და კომედიაც, იმის და მიხედვით, თუ რომელი მისი მხარე ახდენს შთაბეჭდილებას. ავიღოთ ერთი ცნობილი მაგალითი, რომელმაც გამოიწვია მსოფლიო იუმორი. ამ ათი წლის წინეთ, ბერლინის ახლო, ქალაქ კოპენაგში, ერთმა აფიცერმა სალდათების თანხლებით გაჩხრიკა ქალაქის გამგეობა, დაატყვევა ქალაქის თავი, დაბეჭდა კასა და თან წაიღო. ტყვე პოლიციის პოსტზე წაიყვანეს, ხოლო კასა თვით აფიცერმა წაიღო. იმავე დღეს აღმოჩნდა, რომ მთელი ეს საქმე შანტაჟი იყო. ვიღაც არამზადამ გადაიცვა აფიცრის ტანისამოსი, ქუჩაზე გამვლელი სალდათები გაიყოლა და ქალაქი გაძარცვა. ხოლო ორი კვირის შემდეგ დაიჭირეს ეს ყალბი აფიცერი და აღმოჩნდა იგი უბრალო ხარაზი, რომელსაც არასოდეს მხედრობასთან არავითარი საქმე არ ქონებია. აი ამ ამბავმა გამოიწვია მრავალი იუმორისტული ნახატები და მოთხრობები. მართლაც დიდათ სასაცილოა ქალაქის გამგეობის მდგომარეობა ამ ხლესტაკოვის წინაშე. გოგოლის უკვდავი გმირი მეოცე საუკუნეში მთელ ქალაქს აფორიაქებს. ეგ ამ ამბის იუმორისტული მხარეა. მარა მას აქვს დრამატიული მხარეც, რამაც გამოიწვია მრავალი პოლიტიკური და სამხედრო წერილები. აბა ჩაუკვირდით. სალდათები იმდენათ გამოუყრუებიათ დისციპლინით, რომ ვიღაც გამვლელს უსიტყვოთ ემორჩილებიან მხოლოდ იმიტომ, რომ მას მხრებზე ეპოლატები აქვს. ხოლო ქალაქის პირველი მოქალაქე იმდენათ დამონებულია მთავრობის წინაშე, რომ მას, ვითომდა მთავრობის წარმომადგენელს, ვინაობის საბუთებსაც აღარ სთხოვს, ისე აბარებს კასას და თავის თავსაც. ასე რომ ერთი სოც.-დემ. გაზეთი სამართლიანათ სწერდა: პრუსია ორხელ ჩაიჭრა ეგზამენზე—ერთხელ იენის ომში, ხოლო მერეჯერ კოპენაგშიო.

აი ეს მაგალითი ნათლათ გვაჩვენებს ნამდვილი იუმორის მჭიდრო კავშირს ნამდვილ დრამატიზმთან. ხლესტაკოვის მოქმედება სასაცილოა, მაგრამ ეს სიცილი „ცრემლზე უფრო მწარეა“. ამ დრამატიზმს, ამ სიდუხჭირეს სიცილი გაცილებით უფრო აგრძნობიებს ფართე მასას, ვინემ ცრემლთა ფრქვევა. და ეს იმიტომ, რომ იუმორისტული ნაწარმოები სიამოვნებით იკითხება, კარიკატურას ხალისიანათ ათვალიერებენ და ინახავენ. საზოგადოთ კარგი სურათი გაცილებით მეტ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე, ვინემ კარგი ლიტერატურული ნაწარმოები მკითხველზე. პირველი მოქმედებს სწრაფათ და იპყრობს მთელ ადამიანს, ხოლო მეორე ნაწილ-ნაწილათ დაიპყრობს ადამიანის ზოგ მხარეს. ალბათ გეხსომებათ ის პირი, რომელმაც შარშანწინ რეპინის სურათი დასჭრა ტრეტიაკოვის გალერეიაში. მას ისე ნათლათ წარმოუდგინა სურათმა ივანე მრისხანეს სიბოროტე, რომ ხანჯალი ჩაჰკრა. ეგევე ითქმის კარიკატურულ მხატვრობაზედაც. მისი გავლენა დიდია ადამიანზე და რაც უფრო ღრმა შინაარს ხატავს იგი, მით უფრო დაუვიწყარი ხდება.

ამნაირათ, იუმორი რაც უფრო „ცრემლზე უმეტეს მწარეა“, მით უფრო ის ღრმა შინაარსიანია. მისი მიუცილებელი თვისებაა ფართო შინაარსი. მარა ეს არ კმარა. იუმორი მოითხოვს შინაარსთან ერთათ ზომიერებას. მართალია, ის ხშირათ აჭარბებს, მარა თუ მან აქაც არ დაიცვა ზომიერება, გამოიწვევს არა სიცილს, არამედ გულისწყრომას, ე. ი. მიზანს ერთიანათ დაშორდება. შარჟი არ უნდა შორდებოდეს სინამდვილეს.

ხელოვნების ეს ძნელი დარგი ჩვენში კარგა ხანია არსებობს; პირველი ქართული პიესა მგონი კომედია იყო. ხოლო პრესაში და მხატვრობაში ის სულ უკანასკნელ დროს გადმოვიდა და საზოგადო ცხოვრებას თავისი წაუშლელი დაღი დაასვა. ჩვენდა სასახელოთ უნდა ითქვას, ზოგი ჩვენი იუმორისტი ყველა მოწინავე ერთა ლიტერატურას დაამშვენებდა. ერთი ამათგანია ბ-ნი შმერლინგი, რომლის კარიკატურული ნახატები ეს 15 წელიწადია ქართველ და სომეხ საზოგადოებას აცინებს ცრემლიანი სიცილით.



(„ცნობის ფურც.“ დამატება)



თფილისის ქუჩებზე.

(“ცნობის ფურც.“ დამატება)




მამონას და პოეზიას — ორივეს ვუკმევ გუნდრუკსა!

(გაზეთი „არგონავტი“).



უებარი საშუალება სხდომიდან ხმოსანთა გაპარვის წინააღმდეგ.



# საიდუმლო მიწერ-მოწერა

პატივცემულო ოსკარ!

დამალული ქვეყანაზე არაფერია. ცხადია, თქვენ საიდუმლოთ ინახავდით, მაგრამ „ეშმაკის მათრახი“-ს რედაქციის მაინც ემცნო ქართულ პრესსაში თქვენი მოღვაწეობის 15 წლის შესრულება. მართალია ქართველებს თავისი მოღვაწეების „დასაფლავება“ უმეტეს ბრწყინვალებით და ზეიმით გვეხერხება, მაგრამ არც საიუბილეო დღესასწაულებზე ვართ უკაცრავათ. აი, ამიტომ განვიზრახეთ ჩვენს მკითხველებს ამის შესახებ ცნობა მოხსენდეს. ამისათვის საჭირო დარჩა ზოგიერთი ცნობები თქვენი დაბადების (ხომ არ შეიძლება სხვაგვარ გაჩენილიყავით) და შემდეგი განვითარების შესახებ, მაგრამ...

დასწყევლოს ჯოჯოხეთმა სიტყვა „მაგრამ“-ის მომგონი. ისაა ჩვენ რომ გვღუპავს! საცა გინდა არ გინდა ეგ უშნო სიტყვა გამოხტება! რა კეთილი საქმეც არ დავიწყოთ, უთუოდ ისიც შიგ ჩაეჩხირება და ფეხებში გვებორკება. ახლაც, აი ახლაც სად გვიმუხთლა და გვიღალატა!.. ჯერ საქმე დაწყებულიც არა გვაქვს, რომ გამოხტა და თვალწინ აგვეტუზა...

ვითომ რა მინდაო?!

კარგათ ვიცით იმას რაც უნდა! იმან ჩინებულათ იცის ქართველი კაცის ხასიათი. იცის რომ ჩვენ მოღვაწის ბიოგრაფიას მისი ნეტარ-განსვენების შემდეგ დავუწყებთ ხოლმე ქექას. სიცოცხლეში ბიოგრაფიისათვის სად გვცალია და ლანძღვა-გინებისათვის ანკი რა საჭიროა ბიოგრაფია. აი, ეს ჩინებულათ იცის ბ-ნმა „მაგრამ“-მა და კიდევაც ამიტომ გამოხტა ასე თამამათ. უნდა სირცხვილში ჩაგვაგდოს და ჩავვარდებით უეჭველია, თუ აქაც თქვენ არ დაგვიხსენით.

იჯდეთ, არ ადგეთ, იდგეთ, არ დაჯდეთ და დაუყოვნებლივ აცნობეთ ჩვენს რედაქციას საჭირო ცნობები, რითაც დაგვიხსნით სირცხვილისაგან და გვასიამოვნებთ სიცილისაგან. იმედი გვაქვს, ჩვენი მუდმივი მტერი ბ-ნი „მაგრამ“-ი შემუსრულ იქნება და შერცხვენილი უკუ იქცევა.

მარადის თქვენი **ეშმაკი.**

---

P. S. პატივცემულ ო. ი. შლინგისაგან ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ (თითქმის ნახევარი საათი გავიდა) მივიღეთ შემდეგი წერილი:



ძვირფასო ეშმაკო!

დავიბადე ჩემი საყვარელი მხრის საუბედუროთ 1863 წლის 1 ივლისს, ცალ ხელში კარანდაშით, ხოლო მეორეში—მათრახით. პირველათ ვიხილე რა დღის სინათლე და მასთან ერთად ბებია ქალი, ვერ დავთმე სიამოვნება გამომეხატა მასზე მწვავე კარიკატურა, რომელიც ჯერ კიდევ საიდუმლოებას შეადგენს კაცობრიობისათვის.

აი ამ დღიდან კარანდაში და მათრახი შეიქნა ჩემი განუყრელი მეგობარ-თანაშემწენი საყვარელი სამშობლო კუთხისათვის „დიდათ სასარგებლო მოღვაწეობის“ დროს.

ვსწავლობდი მე თფილისის რეალურ სასწავლებელში და უნდა ითქვას ჩემდა სანუგეშოთ, რომ ვსწავლობდი ძლიერ ცუდათ. როცა ცალ ხელში კარანდაში გიპყრია და მეორეში მათრახი, განა შესაძლებელია მათემატიკამ გაგიტაცოს? ხოლო, ვინაიდან აღნიშნულ სასწავლებელში ყველაფერი მათემატიკაზეა დამყარებული: სამშობლო ენიდან დაწყებული, ვიდრე გალობამდე, მეც მხოლოდ მეექვსე კლასამდე ძლივს მივაღწიე. თუ რა ღირსშესანიშნავი იყო ჩემი ხანგრძლივი სასკოლო მოღვაწეობა, ეს ჩინებულათ ემახსოვრება ჩემს მაშინდელ ამხანაგებს, თუ კი რომელიმე მათგანი ჯერ ისევ შერჩენია წუთისოფელს. მეხუთე კლასში ყოფნის დროს, რომელიც განსაკუთრებულის სისათუთით შევიყვარე (სრულიად გაუჭირვებლათ დავყავი იქ სამი ბედნიერი წელი), ზედმეტი თავისუფალი დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავსწყვიტე რედაქტორ-გამომცემლობისათვის დამეთმო და შევუდექი ჟურნალი „კოლოს“ გამოცემას, რომელმაც ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ მოიპოვა ფართე ბაზარი, ვინაიდან ვერ დაიმსახურა სიყვარული ჩემი კლასის დამრიგებლისა და მესამე ნომერზე უკვე სამუდამოთ განისვენა, არა ბუნებრივი და თანაც ტრაღიკული განსვენებით. მოხდა ეგ ღირსშესანიშნავი ამბავი 1880—81 წლებში.

ამ დროს თფილისში სხვა ჟურნალიც გამოდიოდა ივანე პიტოევის ხელმძღვანელობით, სახელდობრ „ფალანგა“. (ღრიანკელი) რომლის რედაქციის მახლობლათ მე აუღელვებლათ არ შემეძლო გავლა. და აი ერთ მშვენიერ დღეს, (უეჭველია მშვენიერი დღე იქნებოდა!) მე გადავსწყვიტე აღარ განვაგრძო ჩემი ჟურნალის საიდუმლო გამოცემა, აღარც სხვა სასწავლებელი ვეძებო, ავდგე და პირდაპირ ჩემი „ნაწარმოებებითურთ“ გადავბარგდე „ფალანგას“ რედაქციაში.

ითქვა და აღსრულდა. ამ დღიდან დაიწყო ნეტარხსენებული „ფალანგას“ რედაქციის ტანჯვა. ჩემი კარიკატურები პანტასავით სცვიოდა სარედაქციო მაგიდაზე, საიდანაც ერთი ორი ჟურნალისაკენ მიდიოდა, ხოლო დიდი უმრავლესობა უზარმაზარსა და გაუმაძღარ სარედაქციო გოდორში ჰპოვებდა საუკუნო სავანეს.

ჩემს შესახებ უმეტეს ნაწილათ „ფალანგის“ ფოსტაში იწერებოდა. იქ მაძლევდენ სასიამოვნო დარიგებას, მაგალითად: „საჭიროა მ. ხ. ჯერ თითონ ისწავლოთ და შემდეგ სხვას ასწავლოთ“. „კარგს იზამდით, რომ თქვენც მოისვენებდეთ და ჩვენს ჟურნალსაც მოასვენებდეთ“ და სხვა ამგვარები. მე რასაკვირველია ვიცოდი, რომ რედაქციის ხელმძღვანელებმა ვერ დააფასეს ჩემი „ნიჭი“ ვერ გაიგეს საიდუმლოება ჩემი „ნაწარმოებისა“, და ამიტომაც გულს არ ვიტეხდი, სურათებს უკეთეს მომავლისათვის ვინახავდი.

ჩემი წარმატებისა, შეუდრეკელი სურვილისა და ზღვა ცრემლების გამო დედ-მამა დაეთანხმა ჩემს თხოვნას და გადასწყვიტა სამხატვრო აკადემიაში ჩემი გაგზავნა, თუმცა სიტყვა „მხატვარი“ მაშინდელ დროში დიდ მოწონებაში არ იყო. 1884 წლის პირველ აგვისტოს (ეს რიცხვი კარგათ დაიმახსოვრეთ) უკვე პეტროგრადის ჭერ ქვეშ ვიყავი. დაღვრემილი შეხვდა ჩემს მისვლას ეგ ქალაქი, თითქო გრძნობდა, რომ მავნე და საშიში წევრი შეემატა მას. გამყინა, გამჟღლენთა, გამთქორა და გამთოშა... ოჰ, ეგ საზიზღარი ჰავა!

ეკზამენი აკადემიისა ჩინებულათ დავიჭირე, მაგრამ არავითარი ზეიმი შეხვედრისა არავის აზრათ არ მოსვლია. წარმოიდგინეთ მისასალმებელი სიტყვაც არავისაგან გამიგონია. აკადემიაში დროებით კარიკატურა დავიწყებას მიეცა, ხოლო მათრახი ბალიშს ქვეშ განცხრომას, სადაც თავს ჩინებულათ გრძნობდა „ფალანგის“ სარპიელზე ხანგრძლივი შრომის შემდეგ.

პირველი ჩემი სურათი „დარაჯთა ცვლა“ ეკზამენის დროს ყველა სურათების ბოლოზე იყო მოქცეული და ნიშნათ უდიდესი ღირსებისა ჯვარედინათ ცარცით იყო გადახაზული.

ამგვარ ნიშანს ჩვენ „გიორგის ჯვარს“ ვეძახოდით, თუმცა ყველა ერიდებოდა მის მიღებას.

„ფალანგის“ რედაქციაში ნაწრთობი ნიჭი ჩემი, მწარე გამოცდილებით გამობრძმედილი, თავაზიანათ ერიდებოდა პეტროგრადის სახუმარო ჟურნალთა რედაქციებს და ერთი მათგანიც არ გაუბედნიერებია თავისი სიახლოვით. მხოლოდ 1887 წელში მივაკითხე მე ამ რედაქციებს. ეშმაკებთან მე თავს დღემდე ბედნიერათ ვგრძნობ, რასაც აშკარათ ამტკიცებს ჩემი „ეშმაკის მათრახში« თანამშრომლობა და აი სწორეთ იმ შორეული წლებიდან დაიწყო ეგ სიახლოვე. მოღვაწეობა დავიწყე ნემეცურ სახუმარო ჟურნალ “Pipifax„ში, რაიც გამომხატველია ქვესკნელის მოქალაქე მხიარული ეშმაკუნასი. ამ ჟურნალის საფოსტო განყოფილებისაგან უკვე თავისუფალი ვიყავი. რუსულ ჟურნალთაგან მე ვაბედნიერებდი მხოლოდ „სინ ოტეჩესტვას“ დამატებას და ზოგჯერ ჟურნალ „შუტ“ ის (ხუმარა) გვერდებს.

შხამისა და ნაღველის სიჭარბე, (რომელიც ჩემში გააათკეცა სატირის სიახლოვემ და მისთვის თავდადებულ მოღვაწეობამ) შეიქნა მიზეზი ჩემი დაქანცულობისა და ექიმთა რჩევით (რჩევა მათ ძლიერ ეხერხებათ) მე იძულებული გავხდი პეტროგრადი განმენთავისუფლებია ჩემი სტუმრობისაგან და სამხრეთიით დამეხია. შევჩერდი ს. ხან-კენდში, ქალაქ შუშის მახლობლათ, მამიჩემის სახლში. აქ, ცხოვრების პირობებმა ორი გზა გამიხსნა წინ: ან უნდა წავსულიყავ ქვესკნელათ ჩემს ძვირფას ეშმაკებთან,

ან მომენახა თავშესაფარი საყვარელ ექიმ ორბელთან*).

ორივე მიმართულება ერთნაირათ მიმზიდველი და სახარბიელო იყო, მაგრამ „კეთილი ცხოვრების“ პერსპექტივამ ვერ გამიტაცა და გადავსწყვიტე ეკლიანი გზა არ დამეტოვებია. ამ მიზნით მივყავ ხელი მელპომენის სამსახურს; შევადგინე ქურუმთა რაზმი, ჩავეწერე მეც მათ შორის და ავათ, თუ კარგათ დავიწყეთ თავგანწირული მოღვაწეობა ხანკენდის გარნიზონის ერთ-ერთ ძველ ყაზარმაში. გთხოვთ მომისმინოთ „Post Scriptum“-ის სახით, რომ პირველათ ბ-ნ ორბელთან გზა გამიკაფა მარტოობამ და დარდმა, ახლა კი იმავ ორბელისაკენ მიმაქანებდა ჩემგან შედგენილ სცენის ქურუმთა სიახლოვე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ ტომის ხალხზე უფრო მიზეზიანი მე ქვეყნათ არავინ მინახავს, მაგრამ მიუხედავათ ამისა ერთი წელიწადი მაინც გავიდა ამ სამსახურში და შემდგომ ამის, პეტროგრადის ნაცვლათ ქ. მიუნხენში ამოვყავ თავი.

მიუნხენში მე „ვვითარდებოდი“ არა მარტო მხატვრობაში, არამედ ბავარიის საგანგებო ლუდის სმაშიაც. ეს უკანასკნელი ვარჯიშობა ხდებოდა იმ მიზნით, რომ მიმეღო ცოტად თუ ბევრათ რიგიანი მხატვრის შესაფერი გარეგნული მოხაზულობა, შემეძინა მუდმივ სანატრელი და ჩემი ოცნების ჩუმი სათაყვანებელი, თუნდაც პატარა ღიპი, და ამგვარათ ღირსეული შეხედულობით დავბრუნებულიყავ სამშობლოში, მაგრამ ამაოდ. ისეთივე ხმელი დავბრუნდი მიუნხენიდან, როგორიც გამგზავნა კავკასიამ. როგორც კი ლუდი იქონიებდა მცირეოდენ კეთილ გავლენას ჩემი ფიგურის სისრულეზე, ნემცების „ვასსერ-ზუპები“ იმწამსვე ხელიდან გამომცინცლიდენ კეთილ შენაძენს. თუ გასუქება თქვენი ოცნების საგანს შეადგენს, სვით მიუნხენის ლუდი, ხოლო ახლოს არ გაეკაროთ „ვასსერ-ზუპს“.

მიუნხენში თითქმის ყველა სახუმარო ჟურნალთა კარები მოვიანახულე ჩემი კარიკატურებით, მაგრამ მიუნხენი პეტროგრადი როდია, იქ მარტო მხატვრები ჩემ დროს 5000 ითვლებოდა, (პირდაპირ დააფიქრებდა ადამიანს კაცობრიობის ბედი). თითქმის მეტი ქალაქის მცხოვრებთა რიცხვზე. მაგრამ წარმოიდგინეთ, მიუნხენშიაც აღმოჩნდა ჩემთვის

(„ცნობის ფურც.“-დან)



— ტელლლეგრრრამ...

გამომცემელი. მუშაობა დავიწყე სპეციალურ ჟურნალ „Radfar Humor“-ში (ველოსიპედისტთა ხუმრობა) მე, (რომელსაც ველოსიპედის პედალზე ჯერ ფეხი არ დამედგა), ძლიერ მეჩოთირებოდა სპორტსმენთა ცხოვრების შეთვისება, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ჩემი საქმისათვის სრულიათ საჭირო არ იყო ველოსიპედზე ჯდომა, რომ ჩემი საქმის შესრულება სკამეიკაზე ჯდომითაც შეიძლებოდა.

1892 წელს გავასწორე ქ. მიუნხენთან და ჩემს მხატვრულ განვითარებასთან ყოველივე ანგარიში და გამოვეშურე კავკასიისაკენ იმ განზრახვით, რომ შეძლებისა დაგვარათ გავმხდარიყავ საზოგადოების სასარგებლო, ან უსარგებლო წევრი.

დიდხანს ელოდა ჩემი კარანდაში სამოღვაწეო ასპარეზს! მათრახი ჩემი მტვერმა დაფარულა და სიცოცხლის ნიშან-წყალ დაკარგული მშვიდობიანათ ესვენა მაგიდაზე. მხოლოდ 9 წლის შემდეგ, სახელდობრ 1901 წელს ა. მ. ჯაბადარს მოუვიდა თავში გენიალური აზრი, საძირკველი ჩაეყარა ქართული კარიკატურისათვის. გავუულესე წვერი ჩემს კარანდაშს, გამოვაღვიძე მათრახი ჩემი და აი უკვე 15 წელიწადია, რაც ვიღვწვი ქართულ იუმორისტულ პრესაში. მიმბაძველები ზოგჯერ კარგ მაგალითსაც უჩნდება,—სომხებმაც და მუსულმანებმაც მიჰბაძეს ქართველთა მაგალითს. ცდა ბევრი იყო, განსაკუთრებით 1905-1906 წლებში; გამოვიდა სპეციალური სახუმარო ჟურნალები, რომელთაგან ზოგი „არა საიმედო“ გამოდგა, ზოგს არ აღმოუჩნდა ამერიკაში მდიდარი ძია და ამიტომაც უდროო, ტრაგიკული სიკვდილით განისვენა. მიუხედავათ ამისა მე დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში კვლავ აღ-

*) ექიმი ორბელი იმ დროს განაგებდა სულით ავათმყოფთა სადგომს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცენდება მკვიდრ ნიადაგზე, როგორც სომხური, აგრეთვე თურქული იუმორი და ვიდრე ეს ევრე არ არის, მე ვაძლევ ჩემს თავს ნებას სავსე ყანწი ავსწიო და ხმა მაღლა გადავსძახო მშვენიერ საქართველოს:

— გაუმარჯოს ქართულ იუმორს,
ქართულ კარიკატურას!
გაუმარჯოს ჩემი გულის მეგობარს „ეშმაკის მათრახს“.

ო. ი. შმერლინგი.



P. S. იმედია მომანიჭებთ უზომო სიამოვნებას გულითადი მადლობა გამოუცხადო ყველა მათ, ვინაც „თავისი საკუთარი არსებობით“ მასალას მაძლევდა ჩემი კარიკატურებისათვის. განსაკუთრებული ჩემი სიყვარული და პატივისცემა ა. ი. ხატისოვს, დაუშრეტელსა და მდიდარ ზვარაკს კარიკატურის სამსხვერპლოზე. როცა ცხოვრება მოდუნებულია, უდაბურ ჰორიზონტზე არც ერთი მსხვერპლი არა სჩანს, ჩვენ მაშინვე ა. ი. ხატისოვისკენ მოვაპყრობთ ხოლმე თვალს და არ ყოფილა მაგალითი მას ჩვენ ხელცარიელი დავეტოვებინეთ. ჩემი უდიდესი მადლობა ქალაქის გამგეობის წევრებს, რომელთაც ხშირათ აღუფრთოვანებიათ ჩემი დაცემული სული. მადლობა ბ-ნ ი. ს. ლულაძეს, რომელიც თურმე ათავებს პალმოვისადმი პასუხს. მადლობა მილოვს და ადელხანოვს;



ვუსურვებ მათ ადრე განთავისუფლებას, ვინაიდან ჩემი რუხი მაუდის პალტო ერთობ უნუგეშო მდგომარეობაშია. მეგობრული სალამი ჩემს ძველ ნაცნობს ვ. გუნიას, რომელიც საიუბილეო მზადებაშია და იმედია ჩვენც არ დაგვივიწყებს. დიდი მადლობა ბ ნ ოლქის მზრუნველს, კრიტიკოს კ. აბაშიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, ამავე სახელობის დიასამიძეს, ამირეჯიბს, ყოველგვარ ქართულ დაწესებულებას და სხვათა მრავალთ. მე არასოდეს არ დავივიწყებ მათ ჩემდამი თანაგრძნობას და პატივისცემას.

ო. ი. შლინგ.

---

თათრ. ჟურნ. „მოლა ნასრედინი“.



სპარსეთი.



ბავშვი. დედილო მშია, რამდენი დღეა არაფერი მიჭამია.

დედა. შვილო მამა შენმა ჭრილობა მიიღო „შახსეი ვახსეიზე“ ავათმყოფი წევს. მოითმინე, ალლაჰი დაგვეხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარიკატურები ო. ი. შლინგისა




(„თფილისის ჟურნალი“).

ქალაქის მამები წყლის საძებრათ წალკისში.

(„ცნობ. ფურ.“ დამატება.)

(„ცნობის ფურც.“ დამატება.)



თფილისის გამგეობამ მხოლოდ ახლა გაიღვიძა და შეუდგა ქალაქის ვითომ დასუფთავებას.

(„ცნობ. ფურ.“ დამატება).

პროვინციაში.



დილას.



საღამოს.



ერთის მხრივ ცხენები მხიარულობენ მუშაობას მოვშორდითო; მეორე მხრივ სტირიან, ვინაიდან ელექტრონის ტრამვაი სპობს მათ მნიშვნელობას.



შარჟი ბ-ნ ზუბალაშვილისა.



# სიცილი

## სადღეისო ლექცია

ჩვენი მოღვაწეობის დროშას „სიცილი“ აწერია,—ჩვენ იმას ვემსახურებით.

ამბობენ,—სიცილი მხოლოდ ადამიანის კუთვნილებაათ. ჩვენც გვჯერა ეს, თუმცა ჩვენის თვალით გვინახავს როგორ იცინოდა ერთი ცირკის ცხენი და დანამდვილებით ვიცით, რომ ჩვენს ძვირფას მოღვაწეს სოლომონს დაბადებიდან სიკვდილამდე ერთხელაც არ გაუცინია. აშკარაა, შესაძლებელი ყოფილა ცჴენს ასწავლოს ადამიანმა სიცილი. გასაკვირი აქ არაფერია, ინსტიტუტშიაც ასწავლიან კეთილშობილ ქალწულთ, როგორ უნდა გაიღიმოს საზოგადოებაში. აგრეთვე შეიძლება საქმის კაცმა სიცილისათვის ვერ მოიცალოს. მიუხედავათ ამ გამონაკლისა, ჩვენ შეგვიძლია ზემოხსენებულ დებულებას დავეთანხმოთ და სიცილი ადამიანის კუთვნილებათ ჩავთვალოთ.

— „სიცილი ზოგადი სახელია,—ბრძანებს საბა-სულხან ორბელიანი,—და განყოფილებანი სიცილთანი ესენი არიან:

ა) **ღიმილი** არს სიცილი სიმშვიდითა, უხმო, ბაგეთა ოდენ შეეტყობოდეს.

ბ) **ხიცილი** არს მცირე ხმიანი და დაბალი.

გ) **კაშკაში** არს სიცილი მაღალი და მოხდომილი.

დ) **კასკასი** არს სიცილი მაღალი და წვლილი.

ე) **ხარხარი** არს სიცილი მაღალი და უშვერი.

ვ) **თქართქარი** არს სიცილი მრავალთაგან შეხმობილი.

ზ) **ღინცილი** არს სიცილი მიწყივ უწესო.

თ) **ფრუტუნი** არს სიცილი ვის არა ენებოს სიცილის გამოჩენა და ერთს საცინელ საქმეზე წასცინოს და მალვე დაიდუმოს“.

მას შემდეგ, რაც საბა-სულხან ორბელიანი მიესვენა, მრავალმა წელმა განვლო. ჩვენი სამშობლო რუსეთს შეეკედლა, ცხოვრება განვითარდა, წარმოებამ ფეხი მოიკიდა, სწავლა განათლების საქმეც წარმარტებაში წავიდა, პრესსა აღორძინდა, იუმორისტიული ლიტერატურა დაიბადა, „სიცილის“ განვითარებაზე ზრუნვა დაიწყეს და აი მის 15 წ. იუბილესაც მოვესწარით. ამიტომ ზემოხსენებული განმარტება „სიცილისა“ აღარ აკმაყოფილებს დღევანდელ ქართველთა მოთხოვნილებას.

ჩვენ და მხოლოდ ჩვენა ვართ ვალდებულნი, ეს დარგი ცხოვრებისა წინ წავსწიოთ და ამან გამაკადნიერა მცირედ შემევსო უკვე აღნიშნული განმარტებანი საბა-სულხან ორბელიანისა.

1) **ხორხოცი** არს სიცილი ეპისკოპოზის კრებულისა, ოდეს იგი შეექცევა სამარხვო, (ან სახსნილო) სადილს ამა თუ იმ მოძღვრისას ეპარქიის რევიზიის დროს.

2) **როხ-როხი** არს სიცილი მაღალი, ბოხი და კანტი-კუნტათ ბაგეთაგან ამოხდომილი. ეთვისება მოქეიფე ვაჟთა და სამხედრო პირთა.

3) **ხვიხვინი** არს სიცილი მაღალი, ბაგეთა და ცხვირთა შეთანხმებულის ძალით გძლიურ კრთომით აღმოხდომილი.

4) **ჰიხვინი** არს სიცილი კვალად მაღალი, მსგავსად ცხენთა მხიარულებისა. ხშირად ისმინოთ ტოლუმბაშთაგან უდიდეს ქორწილთა შინა გურია სამეგრელოდ.

5) **ყროყინი.** არს სიცილი მაღალი და ბოხი, ვირთა მიმბაძველობითი, უხეში და უჰარმონიო, მთავრობის მამასახლისთა და სოფლის მწერალთა კუთვნილი.

6) **ფხუტუნი** მსგავსად ფრუტუნისა, არს სიცილი მალული, ბაგეთა ხელ მიფარებით და სიცილის ტალღათა ცხვირთაგან წარმოდინებით. ეთვისების მოზრდილ გოგოთა, ხოლო უმეტეს მოზრდილ მოსწავლე ქალწულთა, ოდეს მასწავლებელს რაიმე უჩვეულო ემჩნეოდეს.

7) **ყლორჰინი.** არს სიცილი მაღალი და მსხვილწვრილი, ყელთაგან მონადინები. ტალღისებური.

8) **კაკანი.** არს სიცილი ტალღისებური ერთ ხმაზე წარმოებული ქალწულთა მიერ.

9) **ჩიფ-ჩიფი.** არს სიცილი უკბილოთა, მცირე ხმოვანი... ეკუთნების სენატორთა და მაღალ მოხელეთა.

10) **კრეჭა.** არს ღიმილი კბილთა უხმო გა-

მოჩინებით. ნიშნობლივი თვისება „ყველის ვაჭართა“ და მაკლერთა.

**11) ღრეჭა.** არს ღიმილი ბაგეთა უმსგავსო მოხაზულობით, თვისება ვაჭართა ყოველთა.

**12) ღლაბვა.** არს ღიმილი მსუქანთა სახეთა, ნაკვთთა ყოველთა მონაწილეობით.

**13) პრანჭვა.** არს ღიმილი უშნო, სახისა ნაკვთთა დანაოჭებით. ეუფლების ხნოვან ქალწულთა და საცოლო ყრმათა.

**14) ღრეცა და ბრეცა.** არს სიცილი უხმო, ღიმილის დარგისა, ცალმხრივი. ოდეს მარჯვენა, თუ მარცხენა კუთხე ბაგეთა იღებს მოხაზულობას ბალკანეთის ბრძოლის პირისას ე. ი. შუაზე გამონაზნექი და წვერზედა ოდენ შენაზნექი სახესა მთელსა აძლევს ელფერს შიშისა და უსიამოვნებისასა. სიცილსა ამას იწვევს ყოველთა სახესა ზედან, ხილვა საკუთარის კარიკატურისა.

ჩვენ განზრახ მივჩიხეთ მკითხველთა ყურადღება ეგრეთ წოდებულ კარიკატურებამდე. სწორეთ კარიკატურის 15 წლის თავს დღესასწაულობს დღეს ჩვენი ჟურნალი. ხელოვნება საქართველოში ძველთაგან განვითარებულ იყო და შესაძლებელ არს ძველი ქართული კარიკატურაც არსებობდეს. ამის გამოკვლევა ევალების ქართველ ხელოვანთა საზოგადოებასა. დღეს ჩვენ გვაინტერესებს ის ხანა ახალი კარიკატურისა, რომელიც 1904 წელს დაიწყო ალ. ჯაბადარის თაოსნობით და ოსკარ შმერლინგის მხატვრობით.

ხუთმეტი წელიწადია ეს დარგი მხატვრობისა ემსახურება ქართველთა შორის სიცილის სხვა და სხვა დარგთა განვითარებას და მით ჩვენი ერის ჯანმრთელობის აღორძინებას, ვინაიდან უკვე ანბანურ ჭეშმარიტებათ არს მიჩნეული, რომ სიცილი, ვითარი სახისაც არ იყოს იგი, ფრიად შველის კუჭს სანოვაგეთა მონელების საქმეში.

ძვირფასნო მკითხველნო! მაშ მოდით პირველ სადილზედვე დავლიოთ ჩვენი პატივცემული მხატვრის სადღეგრძელო, თუ კი ღვინო გვეშოვება და სადღეგრძელოს მნიშვნელობა კვალად გვწამს.

გაუმარჯოს ჩვენს დაუღალავ კარიკატურისტს, ოსკარ ივანეს—ძე შმერლინგს!*)

**ეშმაკი.**



*) ბევრს ნუ დალევთ, თორემ მთვრალი თუ გნახათ...



თაყვანისცემა. (სომხური ჟურ. „ხათაბალა“).

(„ცნობის ფურც.“ დამატება)



მოწაფეების დოღი.

# მე და კარიკატურა

(ვუძღვნი ოსკ. შლინგს).

წარმოიდგინეთ, გავხსნი თუ არა რომელსამე ქართულ ჟურნალს, პირველ ყოვლისა წარმომიდგება ზ. შლინგის დახატული კარიკატურა: კართობილ-ცხვირა ვაჰარი და სხვანი.

ვფიქრობდი: ნეტავ თუ ძნელი უნდა იყოს კარიკატურების ხატვა? აიღე ქაღალდი, კალამი, მელანი, გაუსვი, გამოუსვი, მეტი რა უნდა! და მე შეუდექი კარიკატურის ხატვას.

მსხვერპლათ გავსწირე ჩვენი სასწავლებლის დირექტორი (იმ დროს კიდევ სასწავლებელში ვსწავლობდი). თუმცა ერთი გასმა-გამოსმით არაფერი გამოვიდა და რამოდენიმე დღე მოვანდომე მის ხატვას. თუმცა დირექტორს ფეხები თავზე გამოვაბი და თვალები ხელის გულებზე გამოუყვანე, მაგრამ სურათი მაინც ძლიერ ხელოვნურათ დახატული გამომივიდა.

სიხარულით ცას ვეწეოდი: „ახლა კი მოვიდა შენი აღსასრული „ო. ი. შლინგო“! გზებს დაგიკეტ! სადაც კი შენ მიიტან დასაბეჭდათ ერთ კარიკატურას, მე იქ ხუთს მივიტან“. და მე გავემგზავრე ქართულ ჟურნალის რედაქციისაკენ...

— შენ, ეი, რედაქტორო! ქუდი მოიხადე! ვერა ჰხედავ ვინც მოვედი?

რედაქტორმა პირი დააღო.

— დახურე პირი და დამიბეჭდე შენს ჟურნალში აი ეს კარიკატურა. ჯერ-ჯერობით ფული არ მინდა.

რედაქტორმა არაფერი მითხრა, მხოლოთ ჩაიცინა... გამომართვა კარიკატურა. მოავლო თუ არა თვალი მას, მორთო სიცილი! მისი ჭონჩხი ტანი ტირიფის ტოტსავით ქანაობდა და უფერული სახე წამოწითლდა, რედაქციის მოხელეთაგან, რომელმაც კი დაჰხედა კარიკატურას, წამსვე იატაკზე გაიშხლართა და სიცილისაგან ბნედა დაემართა.

საერთო ძალებით გამომაბრძანეს რედაქციიდან.

მე აღტაცებული გავემართე სხვა ჟურნალის რედაქცისკენ. ვფიქრობდი: „ნამდვილი კარიკატურისტი ვარ! ხალხი სიცილით იხოცება ჩემი ნახატის ნახვით. არც-კი დამიბეჭდეს მეტის-მეტი სიკარგისაგან“ მეთქი.

მეორე რედაქციაშიც იგივე ამბავი დამემართა, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ აქ თვით ბატონმა რედაქტორმა ამომკრა პანჩური და გარეთ გამომაგდო. არ მწყენია, რადგან დარწმუნებული ვიყავ, რომ ასეთი მოპყრობა იყო შედეგი ჩემი გენიოსობისა. მეტის მეტი კარგი კარიკატურა დავხატე... მესამე ჟურნალის რედაქტორი პესიმისტი და მელანქოლიკი გამოდგა და სიცილის საღერღელი არ აშლია, როდესაც წარუდგინე ჩემი დახატული კარიკატურა, ერთი ჩაიცინა ულვაშებში და მომმართა:

— ყმაწვილო, ეხლაც ავადა ხართ, თუ მარტო მაშინ იყავით, როდესაც ამ კარიკატურას ჰხატავდით?! გირჩევთ მიაშუროთ ფსიხიატორს და გზაზე ცივი წყალი ისხათ კეფაზე. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ენა მუცელში ჩამივარდა. გამოვემშვიდობე და წაველ. ახლაც ვერ გამიგია, რა იყო მიზეზი რომ არ დამიბეჭდეს კარიკატურა. ვფიქრობ, რომ მისი სიმშვენიერე! მას შემდეგ მე გამუდმებული ვხატავ კარიკატურებს, მიმაქვს რედაქციებში... არავინ არ მიბეჭდავს!.. მე მაინც იმედს არ ვკარგავ. ერთხელაც იქნება დამაფასებს ხალხი და ჩემი ვარსკლავიც ამოჩნდება. მაშინ კი ფრთხილათ იყავ, ზ. შლინგო!

ბუზული.



# ჩვენი დეპუტატები

(„თფილისის ჟურნალი")



არჩევამდე.



არჩევის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შარადა

შენ გაჭირვება მიჩვენე
და გაქცევისა ჩვენება
სად როგორ შეეფერების
მე უკეთ მომეხსენება.

—

აი, შარადა დამჭირდა,
არ შევთხზა არ ევარგების,
დრო აღარ მაძლევს არჩევანს
რითმის, ავის და კარგების.

—

მოსძებნეთ სიტყვა ქართული
ბინათა ჩვენთა ნაწილი,
თუ ის არა აქვს შენობას
შესვლა არ იქნეს ადვილი.

არის ხისა, თუ რკინისა,
სად როგორ შეეფერება
(რკინის აჯობებს, თუ სადგომს
ორგული დაემტერება).

თუ არა ვსცდები, გელათში
სძევს იგი დარუბანდისა
დავითის ჩამოტანილი
სპილენძ-ფოლადის ბლანდისა.

ძველათ წიგნებშიც იცოდენ
მისი სათავოდ ხმარება,
ადვილი საპოვნელია
ძებნა ნუ დაგეზარება.

სრულად გვინდება ეგ სიტყვა
წარკვეცა არა სჭირია,
მოგეხსენებათ, ამგვარი
შემთხვევა არც თუ ხშირია.

—

მეორე სიტყვა მოკლეა
და მუშაობა სოფლისა
ივლისის ბუღს და სიცხეში
უხვათ მომდენი ოფლისა.

მგოსან აკაკის იმისი
აქვს უცხო აწერილობა
(მარცხენა ხელის თითებსა
უნდა იქ დიდი ფრთხილობა).

ჰოოპუნა და მუშური
გუგუნებს იმ დროს ველადა,
ერთხელ რო ნახავთ ამ სურათს,
დაგრჩებათ სანატრელადა.

სიტყვა მოკლეა, უბრალო,
სამი ხმით ჩამონაწერი
და მესვეური იმათი
არს ჩვენგან ჩამოსაჭერი.

დარჩება ორი ანბანი,
ის მივუმატოთ პირველსა
(ალილუია შეჰფერის
შარადის გამომწირველსა).

მაგრამ ჯერ კიდევ გვაკლია
ჩვენ ერთი ტყისა ცხოველი
ივერიისა მცხოვრები
ალბათ მას იცნობს ყოველი.

მელიის ბიძაშვილია
მგელი ჰყავს ვგონებ ნათლია
სივრძე სიმაღლე იმისი
სულ ნახევარი ადლია.

უყვართ ჯგუფობრივ ჭყავილი,
ცალკე არ მოელხინება
იხვებს და ბატებს თუ შეხვდა
ჭამა არ მოეწყინება.

სახელი მისი გვჭირია
უკლებლივ, შეუკვეცადა...
შარადა უკვე გათავდა
ვინც საცდელ საქმეს ეცადა.

—

შეხედეთ, ჩვენი შარადა
რა რიგ ტურფა და კარგია...

ის ხელოვნების სფეროში
სწორეთ საჩვენო დარგია.

დახედავ გაგეცინება,
გული დაიწყებს ლხენასა...
(ხუთმეტი წელი განაგრძობს
ის ჩვენში ზოგ-ზოგთ კბენასა)

ზოგს ეამება, ზოგს კიდევ
აუტეხს აურზაურსა
და გულის გასაგრილებლათ
გაგზავნის ბულაჩაურსა.

მისი მოხელე ჩვენ შორის
ცალ ხელზე დასათვალია
და თუ ვერ ახსნათ, მე გირჩევთ
შლინგს მიაპყარით თვალია.

კოლო.



# პირველი კარიკატურა ო. ი. შლინგისა
## ქართულ გამოცემაში.

(„ცნობ:ს ფურც.“ დამატებ:)



„აშვებული ზარის“ დამცველი.

# დაკრძალვა აუცილებელ საჭირო კითხვათა




(„თფილისის ჟურნალი“).




Д-РЪ ГУРКО

ექ. გურკო.




Д-РЪ РОЗЕНБАУМЪ.

ექ. როზენბაუმი.

რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე. ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ., № 1.